

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის
მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო
კომისიის სხდომის

ოქმი #1

ქ. თბილისი

23 სექტემბერი 2019 წელი

2019 წლის 23 სექტემბერს შედგა მოწვეული სპეციალისტების თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

მათიაშვილი გიორგი - გთუნი-ს რექტორი, პროფესორი

კომისიის წევრები:

უკლება მაია - გთუნი-ს პრორექტორი, პროფესორი

ჩაგელიშვილი ლალი - გთუნი-ს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერ. ფაკულტეტის ხუსი, პროფესორი

დიაკონიძე ინგა - გთუნი-ს უცხო ენათა ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი

ჭელიძე სერგო - გთუნი-ს საჯარო სამართლის კათედრის პროფესორი

კომისიის მდივანი:

დევდარიანი ქეთევანი - (ხმის უფლების გარეშე) გთუნი-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი:

1. უცხო ენათა ცენტრში მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა. /მომხსენებელი, პროფ. გიორგი მათიაშვილი, კომისიის თავმჯდომარე/
2. კონკურსანტებთან გასაუბრება.

მოისმინეს:

პროფესორ გიორგი მათიაშვილის ინფორმაცია, მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე.

პროფ. გიორგი მათიაშვილმა აღნიშნა, რომ შპს გთუნი-ს რექტორის მიერ 2019 წლის 25 ივლისის გამოცემული ბრძანების (#01-01/74) საფუძველზე გამოცხადდა ღია კონკურსი. ბრძანებით განისაზღვრა განაცხადებების წარმოდგენის ვადები 2019 წლის 02 სექტემბრიდან 2019 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით. კონკურსის დღე - 2019 წლის 23 სექტემბერი, სააპელაციო ვადა - 3 დღე, საბოლოო შედეგები 2019 წლის 27 სექტემბერს, (ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე)

კონკურსის საფუძველზე უცხო ენათა ცენტრში ასარჩევი მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრა 5 კაცით, მათ შორის: ინგლისური ენის მიმართულებით 4 ვაკანსია და გერმანული ენის მიმართულებით 1 ვაკანსია.

კონკურსში მონაწილეობისათვის დოკუმენტაცია წარმოადგინა 5 კანდიდატმა.

კანდიდატების დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა ვადების დაცვით.

საკონკურსო მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განსაზღვრული იყო ზემოაღნიშნული ბრძანებით და განთავსებული იყო ვებ-გვერდზე, რაც ინფორმაციას საჯაროსა და ხელმისაწვდომს ხდიდა მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დაკავების მსურველთათვის.

გასაუბრებაზე გამოცხადდა 3 კანდიდატი.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი მათიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მისი შესაბამისობა მოთხოვნებთან, კონკურსანტებს დაესვა კითხვები სამეცნიერო-პედაგოგიური და პროფესიული მოღვაწეობის თაობაზე, ასევე სწავლის თანამედროვე მეთოდებზე. მათი პასუხები დადებითად შეფასდა.

კანდიდატებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა.

კანდიდატების საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, რის შედეგადაც კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და

დაადგინეს:

1. მოწვეულ იქნენ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენათა ცენტრში 3 წლის ვადით შემდეგი კონკურსანტები:

უცხო ენათა ცენტრი: (ინგლისური ენა)

1. ლომსაძე ნინო
2. მერაბიშვილი თამარი
3. მჭედლიშვილი მათა

2. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში;

3. სააპელაციო ვადა განისაზღვროს სამი სამუშაო დღით კონკურსის ჩატარებიდან; (24, 25, 26 სექტემბერი)

4. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2019 წლის 27 სექტემბერს.

კომისიის თავმჯდომარე:

პროფ. გიორგი მათიაშვილი

კომისიის წევრები:

პროფ. მათა უკლება

პროფ. ლალი ჩაგელიშვილი

პროფ. ინგა დიაკონიძე

პროფ. სერგო ჭელიძე

მდივანი:

ქეთევან დევდარიანი